

ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია უმაღლეს
საგანმანათლებლო დაწესებულებებში

ნინო ბერძენიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ბიწაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016 წ.

სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემ ორიგინალ
ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ,
გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალას, რომელიც
ნაშრომში არ არის მოხსენებული, ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ნინო ბერძენიშვილი

27 ივნისი 2016 წ.

სარჩევი:

1. საკვლევი საკითხის ზოგადი მიმოხილვა.....	6
2. ლიტერატურის მიმოხილვა	10
3. ადამიანური რესურსების ცნება და სტრუქტურა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში	13
4. საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირების მოდელები	25
5. ადამიანური რესურსების სექტორი EFQM – BSC-მეისელის ინტეგრირებულ მოდელში	28
6. კორპორატიული კულტურის ფორმირება და ადამიანური რესურსების ეფექტურად მართვა	29
7. პერსონალ-პროცესების მონიტორინგის სისტემა და პერსონალის მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება	33
8. დასკვნა	36
9. რეკომენდაციები	37
10. გამოყენებული ლიტერატურა	38

აბსტრაქტი

ადამიანური რესურსი ნებისმიერი ორგანიზაციის ინოვაციური განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. პერსონალის უწყვეტი განვითარება და მის სამართავად ახალი მიდგომების ძიება, წარმოადგენს აუცილებელ ატრიბუტს კომპანიის წარჩინებული ფუნქციონირებისათვის.

საქართველოში, ევროპულ სივრცეში ინტეგრირების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვან როლს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები თამაშობს. სწორედ მათზეა დამოკიდებული ევროპული განათლებისა და ხედვის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო, მეცნიერულ-ტექნიკური და ინოვაციური მოღვაწეობის აქტივიზაციას, რაც შეუძლებელია კვალიფიციური, პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული პერსონალის გარეშე.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევის მიზანს წარმოადგენს დაადგინოს საქართველოში და მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში არსებული მდგომარეობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის კუთხით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის გათვალისწინებით და შეიმუშაოს რეკომენდაციები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ე.წ. HR მენეჯმენტის სტრატეგიის გარშემო

კვლევა განხორციელდა როგორც კერძო, ისე საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე, შემდეგი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით:

- ჩაღრმავებული ინტერვიუ;
- თვისობრივი კვლევა;
- შედარებითი ანალიზი;
- ანკეტირება;
- ექსპერტული შეფასება;
- შემთხვევის ანალიზი.

კვლევის შედეგების მიხედვით დადგინდა ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის არ არსებობა ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აღნიშნული საკითხისადმი ზედაპირული მიდგომა, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან. კვლევის საფუძველზე შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები, რომელთაზე დაყრდნობითაც სასურველი იქნება თუკი განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები ქართულ საკანონმდებლო სივრცეში და პირველ ეტაპზე სავალდებულო ხასიათს მიიღებს საგანმანათლებლო საქმიანობის უფლების მოსაპოვებლად ადამიანური რესურსების მართვის ინდივიდუალიზირებული სტრატეგიის არსებობა.